

# საქართველო

ეროვნული  
ბიზლირთი

საქართველო  
ეროვნული  
ბიზლირთი

ქოველკვირული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 24 (1462) 24-27 ივნისი, 1996 წელი

## საქართველოს 5 წლიანი ისტორია

«სახალხო აჯანყების» გმირებმა დაიწყეს ღოჭუნებით:



**ყველა  
მინუს  
ერთი**



**ერთი  
მინუს  
ყველა**




სურთ დაიჭირონ    დაჭერილია    დაჭერილია    მოკლულია    მოკლულია    მძიმედ დაჭერილია

**თანგიზ კიბოვანი:  
რაც ვნახე და  
გავაკეთე, იმას ვწერ**

მე-2 გვ.

**ქურდები  
ნოდარ ნათაძის  
ბინაში . . .**

მე-4 გვ.



**უმთა კიბოვანი:  
მე ავხდი ფარდას  
საიდუმლოს!**

მე-3 გვ.

**ზოგ იყო ზოგ?  
ზოგი მწარე და ზოგიც  
ნელ-თბილი უეპითხვა  
ვასტანგ ბობუაძეს**

მე-4 გვ.

ვინ იყო ვინ?

# საქართველოში შავი მკვლელობების და თანხის კითხვების შესახებ

გაგრძელდება დასაწყისი ნი. „საქართველო“ № 19, 20.21.22.23

## თანხის კითხვა: შენ რას ვნახე და რას გავაკეთე, იმას ვნერ

— 13 იანვრის გამგზავრებისას რატომ იყავით დაჭერბული, რომ არ დაგაპატიმრებდნენ? შევარდნამდე ხომ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენი ამ აქციისადმი? ხომ არ იყო წინასწარი სიტყვიერი შეთანხმება ხელისუფლებასთან გამგზავრებასთან დაკავშირებით?

— მე რამოდენიმეჯერ ავხსენი და სახალხოდ ვიძახე, რომ ჩვენ შევალთ აფხაზეთში. ამაზე მე გაეროს თავმჯდომარესაც განვუცხადე საჩუქრად. ყველა ლაპარაკობდა, აფხაზურმა დეპუტატებმა ყველამ იცოდა. ესენი ახლა გახდნენ მშვიდობის მტრები. ეტყობა შევარდნამდე დაკავშირებული მათი სურვილები და მათ ეტყობა არ ენაღვლებათ იმ 300 ათასი კაცი ბედი, ისე მშვიდობიანად ლაპარაკობენ 3 წლის მანძილზე. ან ერთი სისხლის ძარღვი როგორ არ აუთამამდათ ამ 3 წლის მანძილზე, ბრწყინებით რომ ატყუებენ მშვიდობიანი გზით ამ საკითხის მოგვარებას, მაგრამ ურჩევნიათ თავი ერთ ადგილს ჰქონდეთ შეყოფილი და თავიანთი მონათესავე სულის დამალვას მოუწოდებენ, ტრიბუნლიდან მალაღობიერად პატრიოტული არაფრისმთქმელი სიტყვების რახარხით მოატყუონ მოსახლეობა იმ იმედით, რომ

დნადები ჩახლართული ფანდია. ასე რომ, ჩემი პროგნოზი დეკრეტის არ ქნას, რომ სწორი იყოს. თვითონ ფისური პროფესიით ჟურნალისტი და ძალიან ჰქვიანი ახალგაზრდა. ის, რაც შეეხება იმას, შევარდნამდე რაც მაგაზე ილაპარაკა, სწორი ინფორმაცია არ ჰქონდა და ფისუნმა სასამართლო პროცესზე გაპარტესტა შევარდნის ცილისმწამებლური გამოსვლა ფისუნის მიმართ. ჯერ ფისური რომ დაკავებულა, ეს არის დიდი დანაშაული ჩვენი და შევარდნის. როგორ შეიძლება ფისუნის დაკავება. ეს იმას გავს, ტროლეიბუსში რომ მკვლელობა მოხდეს და ყველა დააპატიმრონ, რადგან ტროლეიბუსში მკვლელობა მოხდა. თუ მის რაიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი რუსეთში, გადაეცათ რუსეთისთვის, სადაც იგი პასუხს აგებდა მის საქციელზე. მაგრამ ესეც ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების ჭეჭვიანი ნამუშევარია.

— გაზეთ „საქართველოს“ №21-ში, ნათაძემ თავის წერილში განაცხადა, რომ ბქუთათელაძის ბატალიონის მიმართ მოხდა ცილისწამება ტელევიზიის წინ, 1991 წლის სექტემბრის ერთ-ერთ ბოლო დღეს, დაახლოებით 23 საათზე, როცა ტელევიზიასთან შეკრებილი უამრავი ხალხის წინაშე თ.კიტოვანმა განაცხადა: „ბესო ქუთათელაძემ შევნაზადს ბანაკი დაიკავა და 60 ბიჭი დახოცაო“. თქვენი კომენტარი ამ ფაქტის გარშემო.

— ნათაძის წერილი წაიკითხე, მე ბესო ქუთათელაძე არ მიხსენებია. ის, რომ შევნაზადსადაც ჩვენი წამოსვლის შემდეგ შიგ შევარდნენ და რამოდენიმე ჩვენი ჯარისკაცი დააპატიმრეს, ეს სინამდვილეა. ბესოს მე კარგად ვიცნობდი და ძალიან კარგი მეგობარი იყო. ამან განაპირობა თბილისის ომის არ-გამწვავება, რადგან ბესო მოიხსნა მთაწმინდიდან და წავიდა საჩხერეში, ამის თაობაზე ბევრი ვიდვომასალა არსებობს. რაც შეეხება გორის ტრაგედიას, მე წინა დღით ვიყავი ჩასული გორში, ბესოს და ვიას კატეგორიულად ავუკრძალე ამის გაკეთება. გული მიგრძნობდა, რომ შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრებულყო. მე დამირეკა თბილისში რომიზონ თუშურაშვილმა და ყურმილიდან ისმოდა როგორ დაგრუხუნებდნენ ტანკები ქალაქში. მილიციასთან ისროლეს ერთი ყუმბარა. დავურეკე ბეპაეეს და გავვარდით გორში. გორის შესასვლელში რუსის ჯარისკაცებმა მეც მესროლეს, მაგრამ ბელზე ამცდა. მერე ბეპაეევი გადმოვიყვანე მანქანიდან, რის შემდეგ ყველა დაწყნარდა. მივვარდით სატანკო ნაწილში, ჩვენი 28 ბიჭი უკვე ჰყავდათ დასახვერტად გამოადებულნი. იქვე ეგდო რამოდენიმე რუსი ჯარისკაცი გვამი და ჩვენი ბიჭების. მოკლედ რომ ვთქვათ, რაც მოასწრეს მათ ქალაქის დარბევა, ის იყო, მერე სუყველა შემოვართოეთ, ეს ბიჭებიც გავუშვი. ძალიან გული დამწყდა, რომ ბესო მძიმედ იყო დაჭრილი და მაგის გადარჩენის იმედი ექიმებს აღარ ჰქონდათ.

გორის ტრაგედია — ეს ცალკე თემაა და ვინც არ არის ჩახედული ამ საქმეში, ასე უბრალოდ მაგის დაწერა ან გამოქვეყნება არ შეიძლება. იქ არიან ბიჭები, რომლებმაც ნახეს ყველაფერი და ამიტომ არის, იმ კაცმა უნდა დაწეროს ყველაფერი, ვინც მონაწილე იყო იმ ტრაგედიის. მე რაც ვნახე და რაც გავაკეთე, იმას ვწერ. იმ 28 ბიჭს სიცოცხლე

ვაჩუქე და ყველა იტყვის იმას, რომ თუ არა მე, შეიძლება გორის ტრაგედიას მეტი მსხვერპლი და ნგრევა მოყოლოდა, ერთმა გაუთვლელმა ნაბიჯმა მიგვიყვანა გამოუსწორებელ ტრაგედიამდე. ბევრი ეროვნული სულის მატარებელი ჯარისკაცი დაიღუპა მანძილზე.

— თქვენი დამოკიდებულება მიმდინარე სასამართლო პროცესის მიმართ.

— ჩემი სასამართლო პროცესი ეს არის შევარდნის ძალადობის ეტალონი, არც ერთი ჯარისკაცი არ იძახის, რომ კიტოვანმა მოგვიწოდა იარაღით მოდიეთ ან მე ვინმეს მივეცი იარაღი. საერთოდ არ არსებობს იმის მასალა, რომ ვინმე წამოსულიყო იარაღით. ის 22 ცალი ავტომატი, იმას პატრონი ხომ უნდა ყავდეს, ან ვისია, 1500 კაცი. ვინ წამოვიდა ავტომატით, რა ჩემი საქმეა. ან ირაკლი სურგულაძე რა შუაშია, მაგრამ შევარდნამდე არის ბოლმანი კაცი და ეგ ბოლმა დაახლოებით მაგას. მაგას არ შეერჩება ამდენი უსამართლო ხალხის დახვერტები და გასამართლებები. მე ვმოქმედებდი ჩემი წესდების მიხედვით და დღესაც ვაღიარებდი ვთვლი თავს. რომ დავიცვა ჩემი ეროვნული ტრადიციები, სადაც არ უნდა ვიყო. აი ეს არის ჩემი დანაშაული.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს, ეს არის მარონიზების შეკრება. ყველას თავისი უკანა ნაწილის ემინია. ეს ბარიერი თუ გადალახეს, მერე უბრაუდებთ კაცური ფერი. და საერთოდ, სირცხვილია, რომ თავდაცვის მინისტრს, რომელმაც მთელი საქართველოს შეიარაღებული ძალები შეაიარაღა, ასამართლებდნენ 238-ე მუხლით. აქედან უნდა გამოვიდეთ და ყველა მიხვდებით, რა დიდი ძალადობის ქვეშ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, სადაც არ არსებობს ჩემი გასასამართლებელი მასალები.

— რა მიგანიათ დაშვებულ შეცდომად?

— ამაზე ბევრის თქმა შეიძლება. ეს ჩემი სათქმელი არ არის. ეს ისტორიის სათქმელია. მე ჩემს სიტყვას კიდევ ვიტყვი, მოვა მაგის დრო. თუ შეცდომა მაქვს დაშვებული სადმე, ვეცდები გამოვასწორო, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს.

მოაყადა გუბაჟ მებრელიძე.



**აპით ვაპთავ-**  
**რეპტი ინტერვიუს**  
**თანხის კითხვან-**  
**თან. ჩვენი რუბრი-**  
**კის ტრადიციისა-**  
**მებრ მოაღვაწო-**  
**ნოებრი დანთავა**  
**სამი კითხვა და თ.**  
**კითხვანის პასუხები.**  
**პირველი კითხვა**  
**აკუთხვის**  
**„ზვინდიუსტ“,**  
**მეორე კითხვა**  
**აკუთხვის**  
**„შეზარდნაქისტ“,**  
**მესამე კითხვა**  
**აკუთხვის**  
**„არავისტ“.**



ბატონო ვახტანგ, თქვენს ერთ-ერთ სოლიდური მოცულობის წიგნს ასეთი სათაური ჰქვია: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.

1. არ გეშინიათ მომავლისა წარსულის გამო? კი, როგორც მეცნიერი, როგორც პედაგოგი სერიოზული, ღრმა და, რაც მთავარია, პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობდით, მაგრამ თქვენ ხელი გაქვთ მოწერილი 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც სოხუმიდან გამოტანილ იქნა სამარო ტექნიკა, ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოსათვის კატასტროფად იქცა. რატომ მოაწერეთ ხელი და საერთოდ, ვანა ვერ გრძნობდით, რომ თქვენ იარაღად გამოვიყენეს, როგორც პარლამენტის სპიკერი?

2. არ გეშინიათ მომავლისა? თქვენ ხომ ღიად, საჯაროდ აცხადებდით, რომ ეღუარდ შევარდნაძე უნდა ჩამოვიდესო საქართველოში. თქვენ ხომ მისი უანლოგის თანამებრძოლი იყავით. თუ ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს, თუ ვერ გამოვა ხალხი სილატაკის მარწუხებიდან, ვანა თქვენ პრეზიდენტთან ერთად არ იქნებით თქვენი წილი პასუხისმგებლობით წარმსდგარი მომავლის წინაშე?

3. ახლა კი რიტორიკის გარეშე: ბატონო ვახტანგ, თქვენ პოლიტიკურ ასპარეზზე უკვე 70-იანი წლებიდან ჩანხართ. კერძოდ, აქტიური მონაწილე იყავით 1978 წლის 14 აპრილისა, თქვენ შეაგროვეთ პროტესტის ტექსტზე ხელმოწერები უნივერსიტეტის პედაგოგთა შორის. შემდეგ ამ ხელმოწერებიან დაგაკავეს და აღმოჩნდით რეჟიმის კაბინეტში, რამაც, სხვათაშორის, სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რა და როგორ იყო სინამდვილეში?

გარდა ამისა, მაშინდელი პარტიკურად იღეს ლაპარაკობენ იმაზე, რომ თურმე 14 აპრილი მა-

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მკვლევარებისთვის

### ზოგი მხარე და ზოგის ნელ-თბილი უპირობო პასტანგ გობუაძეს



თი დამსახურება უოფილა. 4. როდის გაიცანით ზვიად გამსახურდია? გქონდათ თუ არა პროტესტის გრძნობა, როდესაც ის დააპატიმრეს 1977 წელს? 5. თქვენ დევნილ ზ. გამსახურდიას იუბილედ გადაუხადეთ უნივერსიტეტში, რაც 9 აპრილის შემდეგ ბრალდებულ წამოვიყენათ იმდროინდელმა ცეკას პირველმა მდივანმა, ბატონმა ჭუმბერ პატიაშვილმა, მისი გაპრეზიდენტების შემდეგ კი ოპოზიციაში ჩაუღვიძრეთ. 6. გთხოვთ აღიღვინოთ იმდროინდელი პერიტიკები. რა და როგორ ხდებოდა, როგორც იტყვიან, ალაღად ებრძოდით პრეზიდენტს თუ ეს იყო მოსკოვიდან კარნახი? 7. 1992 წლის გაზაფხულიდან თქვენ სახელმწიფო სამსახურში მდივან-

ნი ბრძანდებოდით. იმ დროში ქვეყანას მართავდა შევარდნაძე თუ მართავდა ტრიუმფირატი? შეეძლო თუ არა ეღუარდ შევარდნაძეს თავიდან აეცილებინა უკანონო ფორმირებების თარეში, სამეგრელოს დაბრუნება-აწიოება? 8. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თქვენ ოფიციალურად სახელმწიფოში მესამე პირი იყავით, პარლამენტში დამტკიცდა ყველა მინისტრი. საიდან აღმოაჩინეთ უჩალობაზე ნასამართლევი ხაჩიშვილი და რა მოტივით ჩააბარეთ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი? ჩვენი ინფორმაციით მისი კანდიდატურა მოდიოდა არა ჭიოსელიანისაგან, არამედ მოსკოვიდან, მართალია თუ არა ეს? 9. ვისი რეკომენდაციით, გენ-

ბავთ ზეწოლით დაინიშნა გიორგაძე უშიშროების მინისტრად? 9. თვლით თუ არა, რომ საქართველოში სამართალი პოლიტიკას ემსახურება და არა პირიქით? 10. თქვენ შევარდნაძის უპირველესი ფავორიტი იყავით. ამჟამად პრესა წერს, რომ თქვენს შორის შავმა კატამ გაირბინა. როდის იცნობთ ბატონ ეღუარდს და რა მოტივები ჰქონდა თქვენს სიახლოვეს ან რა მოტივი აქვს თქვენს შორის ურთიერთობის გაცივებას? 11. თქვენ პირველმა დააყენეთ საქართველოს ესენგეში შესვლის საკითხი. რას გვადლევს რუსეთი სუვერენიტეტის დათმობის სანაცვლოდ სამი თითის კომპინაციის გარდა? 12. თქვენ პირადად ახლო ურთიერთობაში იყავით ჯაბა იოსელიანთან. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტზე რას იტყვიან?

13. თვლით თუ არა, რომ 1991-1992 წლის რევოლუციური იყო დანაშაულებიანი? 14. ერთ-ერთ სოლიდურ მოცულობის წიგნს ასეთი სათაური ჰქვია: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“. ჩვენთვის უნდა იცნობდეთ თქვენი ხელმოწერა: ჩვენს ხელში იყო სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა, სანამ პირში სული მიდგას, არ ვიტყვი იმ კაცის სახელსა და გვარს, ვინც ხელისუფლების სათავეში ამ გზით მოსვლას აპირებდაო. იმ კაცში რომ გიორგაძე იყო-ლისხმებოდეს, როგორც ერთ-ერთმა გაზეთმა ვითომ გაშიფრა, მის დასახელებას ორატორი არ მოერიდებოდა. როგორც ჩანს, იგულისხმება ისეთი პირი, რომელიც ან ძალიან ახლობელი იყო შევარდნაძისა, ან დღესაც საშიშა თავისი მღვთობით. თქვენ გეცოდინებათ და იქნებ გვითხრათ, ვინ იყო ის შეჩვენებული, ჩვენს საყვარელ პრეზიდენტს ადგილის წართმევას რომ უპირებდა? 15. ლაპარაკია იმაზე, რომ თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის მხარდაჭერას ზოგიერთი ქართველის მხრიდან პირადი მოტივები აქვს, ანგარება, ქრთამი და ა.შ. რას იტყვიან ამის შესახებ? 16. რუსეთში მიმდინარე არჩევნები ხომ არ არის იმ აზრის დასტური, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით რუსეთმა გაგვასწრო. ვანა ზიუგანოვს გაუბედავს ვინმე, რომ დარბაზი არ ათხოვოს და შეხვედრა არ ჩაატარებინოს? 17. საით მიდის ამჟამად საქართველო? 18. გვეშველება რამე თქვენს ხელში? ბატონი ვახტანგ გობუაძის თავაზიანი თანხმობით, ამ კითხვების პასუხებს შემოგთავაზებთ „საქართველოს“ მომდევნო ნომრიდან.

## ქურდები ნოდარ ნათაძის ბინაში ანუ ოპოზისია განიარაღებულია

გ-ნ ნოდარ ნათაძესთან ჩვეულებრივად კორესპონდენტები პოლიტიკურ საკითხებზე სასაუბროდ მიდიან ხოლმე. ამჯერად მასთან ვიზიტი ჩემი, როგორც ჟურნალისტისა, სულ სხვა გარემოებაში განაპირობა. ნოდარ ნათაძის ბინაში „ქურდები“ შეიჭრნენ და გაძარცვეს.


დიდი ამბავი მომხდარაო, — იტყვის მკითხველი, ქურდები ვის ბინებში აღარ დაიჭურვებანო. საქმეც იმაში გახლავთ, რომ ვინც ბატონ ნოდართან ერთხელ მაინც ყოფილა სახლში, მთლად ოსტაბ ბენდერის იდეებით რა ცოცხლობდეს, ამ ბინის გასაქურდად გული არ გაუწევს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ გასაქურდი არაფერი გახლავთ... არადა, როგორც ვითხარით, ერთ დღეს შინ დაბრუნებულ ოჯახის ბინადართ სახლი გაძარცვული დახვდათ. რომ ვიფიქროთ, პოლიტიკურ აზრთა გაქრობა-გამოკვლისათვის

კაცმა. ეს დასაზუსტებელია) ნ. ნათაძის ბინას, სისულელე იქნება, რადგან სახლში არავინ იყო. არავინ იყო და მშვიდად, წყნარად, რა მანქანებით არავინ უწყის, კარის გაუტეხლად შევიდნენ ბინაში, შევიდნენ და მოვლენები ჩვეულებრივ განვითარდა. — ვინმე იყო სახლში ბატონო ნოდარ? — სახლში არავინ იყო სამიდან ექვს საათამდე, ამასობაში ვიღაც შემოვიდა, წაიღო ჩემი სატაბელო იარაღი, ჩემი მუშლის სამკაულები და წავიდნენ.

მოგხმაურა მომხდარ ფაქტს და ოციოდ კაცი გააგზავნა შემთხვევის ადგილას. ცოტას „ეცადნენ“ თუ ბევრს, ვერაფერი კვალი აღმოაჩინეს. ჩვეულებრივ კითხვაზე, ხომ არავინ გაქვთო ეჭვი, არჩვეულებრივ პასუხი მიიღეს. — მე ვუპასუხე, ერთ-ერთი მეზობელი სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურში-მეთქი. ამის მიზეზიც ჰქონდა ბატონ ნოდარს, უცნაური რამ ადრეც მომხდარა თურმე. — ხანდახან შემიტყვიან, რომ ჩემს სახლში ვიღაც დადის, ხან რაღაც ქა-

მოჩნდება. მოკლედ უცნაურობები ხდება. — ვინაიდან საიდუმლო სამსახურის მესვეურთ ჩველადური ხელეწიფებით? — კი, ხელეწიფებით, რანაირი კლიტაც არ უნდა დავაძლო კარს, არაფერი აზრი არ აქვს! რაც შეეხება ფასეულობათა და იარაღის წაღებას — ეს უბრალოდ სიმუ-

ლაციის მიზნით იყო გაკეთებული ან ცდუნებას სქლიათ და ხელს გააქოლეს. დაბარებულია ბატონი ნოდარი პოლიციაში ჩვენების მისაცემად და იმედს იტოვებს, რომ სულ მალე მის გარდა ჩვენებსა და მნაშავენი მისცემენ... ანა ჯაყელი



ცალსახად ვინცის საქმი უცხოეთის აგენტების ბაკეთეგულია

# თბილისს სოფელი „მეხნიერაბი“ გვედავებოდნენ, — რას თბილისს იქონია, აზერბაიჯანელი „სნავლულაბი“ გვესილაბიან!

ქართულ და აზერბაიჯანულ ხალხს მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან. ბოლოდროინდელი მწარე მოვლენების დროს საქართველომ არაერთხელ იგრძნო აზერბაიჯანელი ხალხის მორალური თანადგომა, მაგრამ აზერბაიჯანში არიან პოლიტიკანები, რომელნიც წყალს ამღვრევენ. ყველა საქართველოს მიწებს გვედავება. მიტაცებით არ კმაყოფილდებიან და იმის წართმევასაც ცდილობენ, რაც შეგვრჩა. ვბეჭდავთ ამ წერილს იმ მოტივით, რომ სირაქლემას პოზაში ყოფნას და ღუმელს სიკეთე მაინც არ მოაქვს.

## გაზეთი «ბურჯისტანის» თანამშრომლის უსრპდინ მამედლის წიგნის: «ფარალანან ბორჩალი» ანუ «დანაწევრებული ბორჩალი»-ს შესახებ.

გამოიცა ბაქოში 1991 წ.

როგორც ცნობილია, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეული, ცალკე ქვეყანა, სახელმწიფო, სამეფო „აზერბაიჯანის“ სახელწოდებით ისტორიამ XX ს-მდე არ იცოდა, იგი შეიქმნა I სს. იმპერიალისტური ომის შემდგომ, რომელიც ძირითადად დაარსებულია ქართულ, სომხურ და დაღესტნურ ტერიტორიებზე, ისიც, გარეშე, უცხო (თურქული, წითელი რუსეთი), იმპერიალისტური ძალების ხელით. კომუნისტური (ბოლშევიკური) აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აღნიშნული ტერიტორიებისა და აქ მოხინარე ხალხების (ინგოლო-ქართველების, დიდოვლების, ავარების, შაზურების, ლეზგების, თათების, თალიშების, ქურთებისა და სხვათა) ძალდატანებით ასიმილაციასთან ერთად, შეეცადნენ და დღესაც ცდილობენ ხელში ჩაეგდებულ მუშობელთა მიწა-წყლის წარსლის — ისტორიის გაყალბებასთან ერთად ამ ტერიტორიების გათურქება — გააზერბაიჯანებებას, ტომონიშების შეცვლას და ახალი ისტორიის შეთხზვის გზით. ასე მოეპყრნენ, მაგალითად საინგილოსა და მის წარსულს. ინგილოები კი, ბოლოს, არაქართველებად, რომელიც სპარსულ ტომად გამოაცხადეს.

კომუნისტურ რეჟიმში, აზერბაიჯანის კომუნისტმა მესვეურებმა, მოსკოვის ხელდასმით, თავის რესპუბლიკაში, თავთავიანთ მამა-პაპათა ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ იბერიულ-კავკასიურებს: ინგილო-ქართველებსა და ზემოთიან-მოთვლილ დაღესტნურ ტომებს, ინდო-ევროპელებიდან თათებს, თალიშებსა და ქურთებს წართმეული ჰქონდათ და აქეთ კიდევაც თავიანთი ენის, კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი გზები და საშუალებები არაა დასაწყისი ავსუბეზივით ერთი მუჭანი კი არ იყვნენ. ესენი თავიდანვე, ე.ი. 20-იან წლებიდანვე, ზოგი 50—100, ზოგი 200—300 ათასიანი ხელი იყო. მათი ძალდატანებით ასიმილაცია, თავიდანვე სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადეს და უპატრონოდ დარჩენილ ხალხებში, ამ მხრივ, მათ სერიოზულ წარმატებებსაც მიღწევს.

მერე, 50-იანი წლების ბოლოსათვის ამ ქვეყანასა და „აზერბაიჯანელი ერის“ ოფიციალური ისტორიაც გამოვიდა, სადაც (როგორც კავკასიონის გადამღმელი აფსუბებისა და ოსების მტკიცებით, რომ ისინი საქართველოში ადამისა და ევას დროიდან მოყოლებული მოხინარეანია), აზერბაიჯანელები თურქულ-თათრულ მოსახლეობიანად თურმე რესპუბლიკის უძველესი მკვიდრნი და „აზერბაიჯანი“, როგორც სახელმწიფო, ძველთაგანვე არსებულა მათი „ოფიციალური ისტორიის“ გამოსვლას მოჰყვა ყურნალ-გაზეთებში უამრავი „მეცნიერული“ სტატიები, სადაც ფრიალ გაყალბებულია და დაკინებულა ქართველთა, სომხთა და დაღესტნელთა წარსული და თან მუშობელთა მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებიც კი აქეთ გამოთქმული. 1960 წ. აკადემიკოსი ალიზა-

თვის. აგერ ჩვენს გვერდით ცხოვრობს კაცი, რომელსაც თავმოყვარე ქვეყანაში თუ არ დააპატიმრებდნენ, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებდნენ მაინც. ჩვენ კი ქართველი ერის ლანძღვისთვის ბიუჯეტიდან ხელფასსაც ვაძლევთ და ვინ იცის, ეს ხელფასი რომ დაუგვიანოთ, იქნებ ერთი ვაი უშველებელიც აგვიტეხოს. ქვემოთ გთავაზობთ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტის დროს მისგან აზერბაიჯანულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვასაც. ეს სიტყვა ქართულად ან რუსულად მაინც არსად დაბეჭდილა. სომხების პრეზიდენტი რასაც სომხურად იტყვის თავის ოფიციალურ გამოსვლაში, განა არ უნდა ითარგ-

მნოს და დაისტამბოს?  
აზერბაიჯანის პრეზიდენტი რასაც აზერბაიჯანულად იტყვის, არ უნდა ითარგმნოს და დაისტამბოს?  
სამწუხაროდ, სამთავრობო პრესსამსახურები ამას არ აკეთებენ.  
ბატონ პალიევის სიტყვა ერთი შეხედვით მოსაწონი და იდეოლოგიურად გამართულია, მაგრამ როცა აზერბაიჯანელ ხალხს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ოფიციალურ გამოსვლაში ეუბნება, თქვენ საქართველოში მე-12 საუკუნიდან ცხოვრობთო, ამაზე რეაგირებას არავინ არ უნდა ახდენდეს?

## ქართულ ენაზე იბეჭდება პირველად ბ-ნ ჰეიდარ ალიევის სიტყვა

### თბილისი. ქვ. ქართლის თურქულენოვან მოსახლეობასთან შეხვედრა.

...საქართველოში ასე ათასობით აზერბაიჯანელი ცხოვრობს. აზერბაიჯანელები საქართველოში თავის სამშობლოში ცხოვრობენ, თავის მიწა-წყალზე ცხოვრობენ. ესენი იმ მშობლიურ მხარეში ცხოვრობენ, სადაც მათ მამა-პაპებს უცხოვრიათ. ბორჩალოს მხარე, ესაა აზერბაიჯანელი ხალხის ყველაზე ღირებული და ძვირფასი მხარეთაგანი. ბორჩალოს მხარე, როგორც საქართველოსათვისაა ძვირფასი, ასევე აზერბაიჯანისათვისაც ძვირფასია, დღესაც ასევე ძვირფასია. ამიტომაც ვამბობ, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თავის სამშობლოში ცხოვრობენო. ჩემმა მეგობარმა ბ-ნმა ე. შევარდნაძემ, დღეს თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მე არ მინდა დიასპორა ვუწოდო. მან სავესებით სიმართლე თქვა. მართლაც, არ შეიძლება მათ დიასპორა ვუწოდოთ. ისინი საუკუნეების განმავლობაში აქ მცხოვრები და გამრავლებული აზერბაიჯანელებია. დღეს აქ გამოსვლებაში ითქვა, რომ ჯამარტიძე ყიილი ს. ში აბ, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ჩვენს დიდ პაპებს, ქართველ ხალხსა და აზერბაიჯანელ ხალხს, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ერთად დაუშვათ. ესაა ყიილი ს. ში ბამბახილი. ამიტომაც არის, რომ ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, ესაა თქვენი ღვიძლი სამშობლო, ესაა თქვენი მშობლიური მიწა, თქვენ თქვენს მშობლიურ მიწა-წყალზე ცხოვრობთ.

თქვენ აქ, საუბარში სკოლებს შეეხეთ. ეს მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. მე ისე მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ ხალხის, ერის წარმომადგენელმა, პიროვნებამ სადაც არ უნდა იცხოვროს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, თავისი დედა ენა, თავისი რჯული, ეროვნული ადათ-წესები არასოდეს არ უნდა დაივიწყოს. მე ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების, მიუხედავად მრავალი ისტორიული ქართველებისა და სიძნელეებისა, თავისი მშობლიური ენა დაუცვას და გადაურჩინა, რჯულიც დაუცვას და შეუნახავს. ეს დიდი მიღწევაა. ამიტომ მეც, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, დღევანდელ მის თაობას დიდ პატივისცემასა და დიდ მოწიწებას ვუცხადებ. დღეს ჩვენ მფაუნდოვის, მირზა შეფი ვაზევის, ფათალი ხან ხოსიის საფლავები რომ მოვიხანულებთ, ამის დადასტურე-

ბა. დღეს ჩვენ აზერბაიჯანის მეჩეთი მოვიხანულებთ, მუსლიმთა მეჩეთში ვიყავით, როგორც ვხედავთ, რჯული არსებობს და ცოცხლობს მიუხედავად 70 წლიანი წინააღმდეგობა აკრძალვისა, რჯული ადამიანთა გულში შენახულია, თან როგორც ქართველთა რჯული, ისე აზერბაიჯანელების რჯული შენახულია. ყოველივე კი ძალიან ღამაში და ძალიან საქები ამბავია. დღეს დემოკრატიული საქართველოში, დამოუკიდებელ საქართველოში, თავისუფალ საქართველოში თქვენ დედა ენას, რჯულს კიდევ უფრო დიდხანს აცოცხლებთ და მომავალი თაობებისათვის გადაცემას შესძლებთ.


მე მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანულ სკოლებში სწავლება აზერბაიჯანულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. რისთვისაც ჩვენ, ჩვენის მხრივ, რა დახმარებაც იქნება საჭირო, დავცხმარებთ ყველაფერში. აზერბაიჯანში ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც სკოლებში ქართულად უნდა ისწავლონ, ჩვენც ამისათვის ვზრუნავთ და ვიზრუნებთ კიდევაც; საქართველოდან ვისაც მოუნდება ამ სკოლებზე ზრუნვა, სკოლებისათვის დახმარების გაწევა, მათთვის გზა ხსნილია, არავითარი დაბრკოლება არ იქნება. აქ გამომსვლელები აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას შეეხნენ; ეს სავესებით სწორია, რადგან ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. აქ მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა და ამიტომაც წამოყენებულ წინადადებას მე ვემხრობი და ვიცავ, რათა აქ, აზერბაიჯანულ სკოლებში, ქართული ენა კარგად ასწავლონ. მაგრამ ამავე დროს ჩემი ოცნება ისაა, რომ ყველა აზერბაიჯანელმა, საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა და დაივიწყონ, აზერბაიჯანული ენა განავითარონ, ესაა ჩემი ოცნება, და ვფიქრობ, რომ თქვენი ოცნებაც არის ეს.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ძალიან მომეწონენ. ისინი, როგორც ქართულად, ისე რუსულად თავისუფლად საუბრობენ, და თან ძალიან ღამაშ აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობენ; შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს აზერბაიჯანულ მცხოვრებთა შორის აზერბაიჯანელები თქვენიათ და აზერბაიჯანულ ენაზე ვერ საუბრობენ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აზერბაიჯანულ ენას საქართველოში უცოცხლნიან, განვითარებულია და ამიტომ ვიმედოვნებ, რომ შემდგომაც იგი კიდევ უფრო განვითარდება.



# იუმორის გვერდი

# წუთშესვენებები



არც რა მიშველა ტირილმა,  
 არცა ცრემლების დენამა,  
 მიშველა ისევ სიცილმა,  
 ლაქარდიანმა ენამა.



Россия  
 Родина  
 Народ!

ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ბენადი ანდრეის კე ზიუბანოვმა საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი როინ ვასილის კე ლიპარტალიანი მიიწვია მოსკოვში საქართველო-არჩევნების მეორე ტურში, როგორც ჩანს, ბაჭირვების ტალკვესად...  
 ინფორმაცია მოგვანოდა პირველწყარო, თვით როინ ლიპარტალიანმა.

### გაზეთ „საქართველო“ მთავარ რედაქტორს ბატონ ნოდარ ბრიგალაშვილს!

ბატონო ნოდარ!  
 დღეს საქართველოს, ქართველ ხალხს საშინელი დღეები უდგას.  
 მე ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე, რამოდენიმე ღია წერილი მიმეწერა ქვეყნის პრეზიდენტისათვის, რომლის გაბრუნებაში მეც მიმიძღვის უდიდესი წვლილი. მე რომ უფრო ღიად და ძლიერად გამოვხუდიყავი, შედეგი სულ სხვა იქნებოდა. მაგრამ მე ვითამაშე პედარანტეს როლი და ამაზე სულაც არ მწყდება გული.  
 ახლა უმოჩინოდ გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი მიმართვა პრეზიდენტისადმი. იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით მაინც მოხვდეს პრეზიდენტის ხელში.

უდიდესი პატივისცემით  
 საქართველოს აბრარული პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს  
 აბრარულ-ტექნოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი,  
 აკადემიკოსი

როინ ლიპარტალიანი

### საქართველოს პრეზიდენტობის ორგზის ყოფილ კანდიდატს, (მიღებული ხმაების რაოდენობა 0.0000001%) საქ. აბრარული პარტიის თავმჯდომარე, საქ. აბრარულ-ტექნოლოგიური აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოსს

როინ ლიპარტალიანს!

ბატონო როინ, მივიღე თქვენი წერილი. ცხადია, თქვენს თხოვნაზე, გამოვკვეყნო იგი, უარს ვერ ვიტყვი, არათუ უარს მოგახსენებთ, პირიქით, სურვილი გამიჩნდა, რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ წაიკითხოს იგი და დარწმუნდეს იმაში, თუ რა მასშტაბის პრეზიდენტი დაგვიკარგავს და მესამე ცდაზე მაინც აღარ მოხდეს ისე, რომ თქვენ პრეზიდენტობის მარადიულ კანდიდატად დარჩეთ.

ამ მიზნით, (თქვენი წერილის მკითხველთა რიცხვის გასაზრდელად) გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება იუმორის გვერდში (ცნობილია, რომ მკითხველთა მასები ასეთ გვერდს უფრო ეტანებიან).

ულრამის პატივისცემით

ნოდარ ბრიგალაშვილი

## პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის როინ ლიპარტალიანის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს  
 ბატონო პრეზიდენტო!

წინა პარლამენტის წევრებიდან თითქმის ერთადერთი პარლამენტარი ვარ, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი თქვენი საქართველოში ჩამობრძანების, რის შესახებაც პირადად გითხარით ერთ-ერთი სხდომის დროს. მაგრამ რადგანაც უმრავლესობა მხარს გიჭერდათ, მეც ვიფიქრე, იქნებ მართლაც შეიცვალეთ თქვენ და რაიმე სასიკეთო გაუკეთოთ თქვა საქართველოსთვის, მაგრამ მწარედ მოგწყუდი ისე როგორც უამრავი თქვენი თაყვანისმცემლები. დღეს უკვე ყველანი ვხედავთ, რომ თქვენი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცხოვრება უფრო და უფრო გაუსაძლისი გახდა (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კარგი საქმეც გააკეთეთ, მაგრამ უარყოფითი მხარე აშკარად სჭარბობს).

საქართველო თქვენი დემოკრატიის დროშით უფსკრულისაკენ მიექანება. ქვეყანა კიდევ უფრო აირია, საბოლოოდ გაიხლიჩა, დაიკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო, დაიღუპა ათიათასობით ადამიანი, თავისი სამშობლო დატოვა ასიათასობით ქართველი, ქვეყანას ჰყავს 300000-ზე მეტი ლტოლვილი, ქვეყანა მოიცვა უსაშინელესმა სიღატაკემ, შიმშილმა და გაჭირვებამ.

ყველა ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოში მიმდინარეობს ეკონომიკური დივერსია, ქართველი ხალხის შენელებული გენოციდი, რომლის მოთავენიც არიან უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურები, რო-

მელთაც აქტიურად მხარი დაუჭირეს კოლაბორაციონისტებმა, რენეგატებმა, მარიონეტმა ქართველებმა. ქვეყანა ინგრევა, იღუპება, ხოლო როგორც თქვენი მოღვაწეობიდან ჩანს თქვენ უკვე მისი შეჩერება არ შეგიძლიათ! პირიქით, ყოველი დღე თქვენი ხელისუფლებაში ყოფნისა, ჩემი პირადი აზრით საქართველოსთვის უარესის მომტანია. პომპეზურმა დღესასწაულებმა, ზეიმებმა ქვეყანა პოტიომკინის ნასახლარებს დაამსგავსეს, სწორედ ამიტომაც თქვენ უნდა სძლიოთ საკუთარ თავს, დათმობთ სკამისა და თანამდებობის ფანატიკური სიყვარული და უნდა გადადგეთ! დიახ, უნდა გადადგეთ! ამით თქვენც მოისვენებთ და ერიც გადარჩება!!!

ახლა გთავაზობთ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების ჩანაცვლების მექანიზმის ამუშავება:

1. რესპუბლიკის პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კანონი, ამ კანონის საფუძველზე არჩევნები უნდა ჩატარდეს ნოემბრის თვეში.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს ახალი პარლამენტის არჩევნების კანონი, შემდეგ დანიშნოს პარლამენტის რიგგარე არჩევნები მომავალი წლის მარტში.

3. რესპუბლიკის ახალი პარლამენტის

არჩევნებამდე დათხოვილი უნდა იქნას რესპუბლიკის მთავრობა და მის ნაცვლად უნდა შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელშიც შევლენ ყველა ის ადამიანები, რომელთაც ხელუწიფებთ ქვეყნის გადარჩენა, რომელიც პრეზიდენტთან ერთად უხელმძღვანელებს ქვეყანას.

4. რესპუბლიკის ახალი პარლამენტის არჩევისა და ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ თქვენ უნდა გადადგეთ, ფუნქცია კი შეასრულოს ახლად არჩეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. პრეზიდენტის რიგგარე არჩევნები ჩატარდეს 1997 წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.

ბატონო პრეზიდენტო!  
 უმოჩინოდ გთხოვთ, წარმოდგენილი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ სწორ გზას ნუ შეხედავთ ტრადიციული ფსიქო-

ლოგიით (სიმართლე სიმართლეა, მაგრამ ყველაფერი ისე იქნება როგორც უცხოეთის ქვეყანას და მე მინდაო). წინააღმდეგ შემთხვევაში გარწმუნებთ ეს უმწვავესი საკითხები მალე მაინც თავისთავად დადგება დღის წესრიგში. ხალხს უკვე თვალები აეხილა და ის არ დაუშვებს ქვეყნის დამაქცევრების ბოგინს, პომპეზურ ზეიმებს და ქვეყნის დაღუპვას.

გთხოვთ მოიქცეთ ისე როგორც ეს ღირსეულ მამულიშვილს შეეფერება.

ულრამის პატივისცემით:

როინ ლიპარტალიანი

თუ რაიმეში ვცდები ღმერთი მაპატიებს!

